ინგლისურ იდენტობასთან დაკავშირებული კონცეპტები ჯულიან ბარნსის რომანში *„ინგლისი, ინგლისი“* და მათი თარგმნის პრობლემა

მარი აბრამიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (მიმართულება: ანგლისტიკა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მატარაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2021

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია პოსტმოდერნისტი ავტორის ჯულიან ბარნსის რომანში ,,ინგლისი, ინგლისი'' მოცემული ინგლისური იდენტობის კონცეპტების თარგმნის საკითხი. გაანალიზებულია ზაზა ჭილაძისა და გია ჭუმბურიძის ერთობლივი თარგმანი. კვლევაში განხილულია ინგლისური იდენტობის კონცეპტების როლი წყარო ტექსტში და მათი სამიზნე ტექსტში გადატანის თავისებურებები.

ნაშრომში იდენტიფიცირებულია კულტურული რეალიები და წარმოდგენილია მათი ტიპოლოგია პიტერ ნიუმარკის ტაქსონომიის მიხედვით. რეალიების თარგმნის სპეციფიკა განხილულია ასევე ნიუმარკის მიერ შემოთავაზებული მოდელით. წყარო და სამიზნე ტექსტების ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ მთარგმნელი უმეტესად მიმართავს ტრანსლიტერაციას, თუმცა ზოგიერთ შემთხვევში იყენებს კულტურულ ეკვივალენტს და აღწერილ თარგმანს.

საკვანძო სიტყვები: რომანი, პოსტმოდერნიზმი, ეროვნული კოლორიტი, ნაციონალური რეალია, ტრანსლიტერაცია, კულტურული ეკვივალენტი.

Abstract

Concept of Englishness in "England, England" by Julian Barnes: Translation Problem

The thesis deals with the problem of translating culture-specific concepts used by Julian Barnes in his postmodernist novel 'England, England' with a view to 'rewriting' traditional vision of Englishness.

It seeks to identify strategies used by the Georgian translators, The Zaza Chiladze and Gia Chumburidze, for rendering the concepts into the target texts. The analysis of source and target texts is based on the taxonomy of culture-specific terms and respective translation strategies offered by Peter Newmark. The strategies identified through analysis are also discussed in view of Venuti's domesticating vs. foreignizing model.

The analysis of the target text has shown that transliteration is one of the most common strategies employed by the translators with a view to retaining the concepts associated with Englishness.

Keywords: novel, postmodernism, culture-specific items, national identity, transliteration, cultural equivalent.